# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-729

30/08/2018 ქ. თბილისი

**„ქ. რუსთავში, შპს „ეი-ემ-ბი ალოის“ ფეროშენადნობთა საწარმოს მშენებლობა-ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-11 და მე-13 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს „ქ. რუსთავში, შპს „ეი-ემ-ბი ალოის“ ფეროშენადნობთა საწარმოს მშენებლობა-ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნა #33 ; 16.08.2018წ.
2. შპს „ეი-ემ-ბი ალოის“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #33; 16.08.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეი-ემ-ბი ალოის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეი-ემ-ბი ალოის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ N6) მხარის მიერ მისის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი